ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №68 სხდომის ოქმი

2012 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში გიგა ზედანიას, როგორც მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოს წევრის, უფლებამოსილების ცნობად მიღება;
2. აკადემიური კონკურსის გამოცხადება: **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე** 12 სრულ პროფესორზე და **საინჟინრო ფაკულტეტზე** 2 სრულ პროფესორზე (უვადო კონტრაქტზე); **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე** 1 სრულ პროფესორზე - ჰუმანიტარული მიმართულებით, 2 ასისტენტ-პროფესორზე ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით, კულტურისა და რელიგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით 2 ასოცირებულ პროფესორზე, მუსიკის მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, სოციალური და განათლების მეცნიერების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, დემოგრაფია-სოციოლოგიის მიმართულებით 1 ასოცირებულ პროფესორზე, კერძო მეთოდიკების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით 1 ასოცირებულ პროფესორზე, ენათმეცნიერების მიმართულებით 1 ასისტენტ- პროფესორზე; **სამართლის ფაკულტეტზე** - სოციალური და განათლების მეცნიერების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, **საინჟინრო ფაკულტეტზე** - ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით 2 ასისტენტ-პროფესორზე, ასტროფიზიკის მიმართულებით 1 ასოცირებულ პროფესორზე, **სპორტის ფაკულტეტზე** ფიზიოლოგიის მიმართულებით 2 ასოცირებულ პროფესორზე;
3. სამართლის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების განხილვა ფაკულტეტის ფარგლებში სტუდენტების აკადემიური ჩამორჩენილობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისათვის გარკვეული რეგულაციების შემოღების შესახებ;
4. უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხმინიჭებული პირებისათვის დაცვის შემდგომ უნივერსიტეტში აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შეზღუდვის შესახებ საკითხის განხილვა;
5. ინტრედისციპლინარული კვლევების ფონდის შექმნის შესახებ საკითხის განხილვა;
6. უვადოზე ორიენტირებულ კონტრაქტზე არსებული პროფესორებისათვის სალექციო დატვირთვის დროს სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;

2. მაია როგავა - სხდომის მდივანი;

3. მარინე ჩხიკვიშვილი;

4. გიგა ზედანია.

2012 წლის 11 დეკემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს -** ცნობად იქნას მიღებული მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე 2012 წლის 10 დეკემბერს ჩატარებული აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატის არჩევნების შედეგები. ამავე ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ამ აკადემიური საბჭოს წევრად დარჩენილი ვადით განისაზღვროს გიგა ზედანია;

2. **დამტკიცდეს -** გამოცხადდეს კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე** 12 სრულ პროფესორზე და **საინჟინრო ფაკულტეტზე** 2 სრულ პროფესორზე (უვადო კონტრაქტზე); **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე** 1 სრულ პროფესორზე - ჰუმანიტარული მიმართულებით, 2 ასისტენტ-პროფესორზე ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით, კულტურისა და რელიგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით 2 ასოცირებულ პროფესორზე, მუსიკის მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, სოციალური და განათლების მეცნიერების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, დემოგრაფია - სოციოლოგიის მიმართულებით 1 ასოცირებულ პროფესორზე, კერძო მეთოდიკების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით 1 ასოცირებულ პროფესორზე, ენათმეცნიერების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე; **სამართლის ფაკულტეტზე** - სოციალური და განათლების მეცნიერების მიმართულებით 1 ასისტენტ-პროფესორზე, **საინჟინრო ფაკულტეტზე** - ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით 2 ასისტენტ-პროფესორზე, ასტროფიზიკის მიმართულებით 1 ასოცირებულ პროფესორზე, **სპორტის ფაკულტეტზე** ფიზიოლოგიის მიმართულებით 2 ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე;

3. **დამტკიცდეს** - სამართლის ფაკულტეტისათვის აკადემიური ჩამორჩენილობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი თანდართული სახით;

4. **დამტკიცდეს** - დოქტორის ხარისხის მფლობელებისათვის, რომლებსაც ხარისხი მიენიჭათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხარისხის მინიჭების შემდგომ უნივერსიტეტში აკადემიურ და კვლევით საქმიანობაზე დასაქმება დაუშვებელია მინიმუმ 5 წლის განმავლობაში, გამონაკლისი შეიძლება დაიშვას განსაკუთრებულ შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე;

5. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას რექტორის ინიციატივა უნივერსიტეტის ფარგლებში ინტერდისციპლინარული კვლევების ფონდის შექმნის შესახებ, რომელშიც აკუმულირდება თავისუფალი თანხები ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული პროცედურების დასრულების შემდგომ საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

6. **დამტკიცდეს** - აკადემიური თანამდებობის პირებთან, რომლებთანაც გაფორმდება უვადოზე ორიენტირებული კონტრაქტები, სალექციო დატვირთვის დროს სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს საბაკალავრო საფეხურზე მინიმუმ 10 სტუდენტით, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე - 5 სტუდენტით.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია როგავა